ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 15 სექტემბერი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
კონსტანტინე ქავთარაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში იოსელიანის ქუჩის (ყოფილი ფრუნზეს ქუჩა), წერეთლის ქუჩის მე-10 ჩიხის, გ. ტაბიძის ქუჩის მე-4 და მე-6 ჩიხების, თავისუფლების ქუჩის მე-2 ჩიხის, ზერძენაძის ქუჩის პირველი და მე-3 შესახვევების, ზაქარიაძის ქუჩის, ზაქარიაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, უზნაძის ქუჩის პირველი ჩიხის, ლ. ასათიანის ქუჩის მე-2 და მე-7 ჩიხების გზის ა/ზეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 17800 (ჩვიდმეტი ათას რვაასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – ქალაქ ქუთაისში იოსელიანის ქუჩის (ყოფილი ფრუნზეს ქუჩა), წერეთლის ქუჩის მე-10 ჩიხის, გ. ტაბიძის ქუჩის მე-4 და მე-6 ჩიხების, თავისუფლების ქუჩის მე-2 ჩიხის, ზერძენაძის ქუჩის პირველი და მე-3 შესახვევების, ზაქარიაძის ქუჩის, ზაქარიაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, უზნაძის ქუჩის პირველი ჩიხის, ლ. ასათიანის ქუჩის მე-2 და მე-7 ჩიხების გზის ა/ზეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 17800 (ჩვიდმეტი ათას რვაასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში იოსელიანის ქუჩის (ყოფილი ფრუნზეს ქუჩა), წერეთლის ქუჩის მე-10 ჩიხის, გ. ტაბიძის ქუჩის მე-4 და მე-6 ჩიხების, თავისუფლების ქუჩის მე-2 ჩიხის, ბერძენაძის ქუჩის პირველი და მე-3 შესახვევების, ზაქარიაძის ქუჩის, ზაქარიაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, უზნაძის ქუჩის პირველი ჩიხის, ლ. ასათიანის ქუჩის მე-2 და მე-7 ჩიხების გზის ა/ზეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 22 სექტემბერს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2014 წლის 22 სექტემბრის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე